საქართველოს მთავრობის
დადგენილება

№339 2018 წლის 26 ივნისი ქ. თბილისი

ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეთა მკვლელობაში, გატაცებაში, წამებასა და არაჰუმანურ მოპყრობაში, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, აგრეთვე ამ დანაშაულთა დაფარვაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა სიის – „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ დამტკიცებისა და საქართველოს მთავრობის მიერ გასატარებელი შესაბამისი ღონისძიებების თაობაზე

მუხლი 1. „რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 21 მარტის №2070-IIს რეზოლუციის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეთა მკვლელობაში, გატაცებაში, წამებასა და არაჰუმანურ მოპყრობაში, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, აგრეთვე ამ დანაშაულთა დაფარვაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა სია – „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია“, დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს იუსტიციის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროებს, ხოლო საქართველოს ეროვნულ ბანკს ეთხოვოს, რომ მიიღონ ყველა შესაძლო ზომა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს პარტნიორი ქვეყნების მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ შეყვანილ პირთა მიმართ ყველა შესაძლო შეზღუდვის, მათ შორის, სავიზო, ქონებრივი და ფინანსური ტრანზაქციების განხორციელებასთან დაკავშირებული შეზღუდვების დასაწესებლად და სამართლის აღსრულების ხელშესაწყობად.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, კომპეტენციის შესაბამისად, განისაზღვრონ ამ დადგენილების აღსრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებად და საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს მთავრობას რეგულარულად წარუდგინონ ანგარიში ამ დადგენილების აღსრულების მდგომარეობის თაობაზე. ეთხოვოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ამ დადგენილების აღსრულებაზე შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია“ წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა სია, რომლებიც იმხილებიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილ, მხოლოდ რეზოლუციაში მითითებულ დანაშაულებში
(მკვლელობა, გატაცება, წამება და არაჰუმანური მოპყრობა, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და ამ დანაშაულთა დაფარვა)

	ბრალდებული/ მსჯავრდებული	დემოგრაფიული მონაცემები	სტატუსი	საქმის მდგომარეობა	დანაშაულის ჩადენის ადგილი	მოკლე ფაბულა	შენიშვნა
1	დავით ჯემალის ძე გურწიევი	05.08.1985 წ. დაბა ახალგორი, აკაკი წერეთლის N10	ბრალდებული	14.06.2018 წელს დაუსწრებლად წარედგინა ბრალი სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ და 25-144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით.	ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი (ახალგორი - ცხინვალი)	2018 წლის 22 თებერვალს, ახალგორის რაიონის სოფელ მოსაბრუნთან, არჩილ ტატუნაშვილს, იოსებ პავლიაშვილსა და ლევან ქუტაშვილს ოკუპირებული ახალგორის ე.წ „КГБ“-ს სამსახურის განყოფილების უფროსმა ალიკ ტაბოევმა, ოკუპირებული ახალგორის ე.წ პროკურატურის პროკურორის თანაშემწე დავით გურწიევმა და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. სამართალდამცავი ორგანოს სხვა თანამშრომლებმა ჯგუფურად, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და ჯერ არჩილ ტატუნაშვილი, ხოლო მოგვიანებით - იოსებ პავლიაშვილი და ლევან ქუტაშვილი, გადაიყვანეს ახალგორის რაიონის ე.წ. უშიშროების სამსახურის შენობაში, სადაც არჩილ ტატუნაშვილი წამების მიზნით, გადასცეს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. სამართალდამცავი ორგანოს შეიარაღებულ თანამშრომლებს, რომლებმაც წაიყვანეს ცხინვალში, სადაც 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობისთვის არჩილ ტატუნაშვილი აწამეს, კერძოდ სხეულის სხვადასხვა ნაწილებში მიაყენეს სხვადასხვა სახის 100-ზე მეტი დაზიანება. მოგვიანებით, არჩილ ტატუნაშვილი გარდაიცვალა. იოსებ პავლიაშვილი და ლევან ქუტაშვილი, 2018 წლის 24 თებერვალს ე.წ. დროებითი დაკავების იზოლატორიდან გაათავისუფლეს, თუმცა კვლავ უკანონოდ ჰქონდათ თავისუფლება აღკვეთილი და ვერ გადმოდიოდნენ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 2018 წლის 11 მარტამდე.	
2	ალიკ ფიროდის ძე ტაბოევი	21.01.1978 წ. ცხოვრობდა ცხინვალში, ამჟამად ცხოვრობს დაბა ახალგორში, 9 აპრილის N12-ში	ბრალდებული	14.06.2018 წელს დაუსწრებლად წარედგინა ბრალი სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ და 25-144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით.	ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი (ახალგორი - ცხინვალი)		
3	რაშიდ კანჯი-ოღლი	25.04.1987 ტყვარჩელის რაიონი, სოფელი აკარმარაში	მსჯავრდებული ძებნილი ინტერპოლით 17.03.2017 წლიდან	26.12.2016 წლის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. 07.03.2017 წლის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით მიესაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა	სოფელი ხურჩა, ზუგდიდის რაიონი, საოკუპაციო ხაზთან	ხურჩაში, საოკუპაციო ხაზთან, ხურჩა ნაბაკევის ე.წ. გამშვებ პუნქტთან, რაშიდ კანჯი-ოღლიმ 2016 წლის 19 მაისს მოკლა საქართველოს მოქალაქე - გიგა ოთხოზორია.	

4	სლავიკ სვიატოსლავის ძე ბადია	06.03.1963 წ. ოჩამჩირის რაიონი, სოფელი ჯგერდა	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ (ყაჩაღობა) და „ბ“ ქვეპუნქტებით და 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“, „ე“, „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებით (მძევლად ხელში ჩაგდება), მიმდინარეობს საქმის განხილვა	ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	2001 წლის 2 ივნისს, გალის რაიონის სოფელ ოტობაიას ტერიტორიაზე, დაუდგენელ პირებთან ერთად სლავიკ ბადიამ გააჩერა 3 ავტომანქანა, მგზავრებს გასტაცეს ნივთები და ავტომანქანა და აღუკვეთეს თავისუფლება, მგზავრთა ნაწილი - ზაზა ტაბალუა და ლაშა ყოლბაია გადაიყვანეს სოხუმში და რამდენიმეკვირიანი მძევლობიდან გაათავისუფლეს გამოსასყიდის გადახდის შემდგომ.	
5	რაულ მახტის ძე კორტავა	1950 წ. ოჩამჩირის რაიონი, სოფელი ფოქვე	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 65-ე, 75-ე მუხლის პირველი, მეთერთმეტე და მეთერთმეტე პრიმა ნაწილებით, 78-ე მუხლით, 17,104-ე მუხლის მეოთხე და მეექვსე ნაწილებით (ძვ. რედაქცია), მიმდინარეობს საქმის განხილვა	ოკუპირებული აფხაზეთი	იყო სამასამდე პირისგან შემდგარი ბანდიტური დაჯგუფება ე.წ. „ფოქვეშის ბატალიონის“ მეთაური, რომლებმაც 1992 წლის აგვისტოდან-1993 წლის ოქტომბრამდე მიმდინარე კონფლიქტის დროს, ჩაიდინეს სამშობლოს ღალატი, ბანდიტიზმი, სხვა მძიმე დანაშაულები, მიმართული საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის, სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ. ასევე მათ ჩაიდინეს ეროვნული კუთვნილების მიხედვით ქართველთა უფლებების პირდაპირი შეზღუდვა, ადამიანთა მოტაცება. თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, მძევლად ხელში ჩაგდება გამოსასყიდის მიღების მიზნით, მკვლელობები.	
6	ზაურ ანდროს ძე ჭითანავა	1934 წ, გალის რაიონი, სოფელი ჭუბურხინჯი	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 104-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით, 17,104-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილებით (ძვ. რედაქცია), მიმდინარეობს განხილვა	ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	1997 წლის 04 თებერვალს, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში მცხოვრებმა ზაურ ჭითანავამ მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა, ნახა რომ მისი ძმისშვილის პაატა ჭითანავას სახლს ეკიდა ცეცხლი და დაეჭვებულმა მეზობლების მიერ აღნიშნული სახლის დაწვით, დემიკო ძიგუას, ნანი ძიგუას, მზია ჭითანავასა და სხვა პირების განზრახ მოკვლის მიზნით, მოხსნა დამცავი რგოლი ხელყუმბარას და გადააგდო ზემოაღნიშნული პირების მიმართულებით. აფეთქების შედეგად დემიკო ძიგუა ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო სხვა პირებმა სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღეს.	
7	ციბრონა (ეკა) ახალაია	1957 წ., გულრიფშის რაიონი, სოფელი ლათა	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 65-ე, 65[1] (გენოციდი), 152-ე (ყაჩაღობა), 78-ე (ბანდიტიზმი) მუხლებითა და 104-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-10 ნაწილებით (დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ: ორი და მეტი პირის, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობა), მიმდინარეობს საქმის განხილვა	ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	იყო 12 კაციანი ბანდიტური უკანონო შეიარაღებული ფორმირების ხელმძღვანელი, 1998 წლის 02 ივნისს თავს დაესხა გალის რაიონის სოფ. ფიჩორის მოსახლეობას, გაანადგურეს კერძო საკუთრება, უშუალოდ მან განსაკუთრებული სისასტიკით ამავე სოფლის მკვიდრის თანდასწრებით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჩაიდინა ორი პირის: ვალიკო	

						ღურჯიას, ლელა კოსტავა-ბულისკირიას განზრახ მკვლელობა, 3 ივნისს ბორის მეფორიას და ზურაბ ალფენაძის განზრახ მკვლელობა, ხოლო მისმა დაჯგუფებამ მოკლა ათეულობით პირი.	
8	ოთარ ტურნანბა	1962 წ., ოჩამჩირის რაიონი, სოფელი ჭლოუ	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 65-ე, 65[1] (გენოციდი), 65[2] (ეთნიკური წმენდა), 78-ე (ბანდიტიზმი) მუხლებით და 104-ე მუხლის 1, მე-6 და მე-10 ნაწილებით (დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ: ანგარებით, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობა) (ძვ. რედაქცია), მიმდინარეობს საქმის განხილვა	ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	იყო ბანდიტური უკანონო შეიარაღებული ფორმირების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ალიკა წაბრიასთან და ბანდის სხვა წევრებთან ერთად, თავს დაესხა გალის რაიონ სოფელ კოხორას, სადაც 1998 წლის 21 მაისს ანგარების მოტივით გაიტაცეს რაულ მიანაევი და გარჩხი მინაევი. ეს უკანასკნელი ა. წაბრიამ და ო. ტურნანბამ ანგარებით, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე, გზაზე სოფელ კოხორას მოძრავ -მექანიზირებული კოლონის ტერიტორიაზე, მოკლეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებიდან.	
9	ალიკა წაბრია	1966 წ., ოჩამჩირის რაიონი, სოფელი ჭლოუ	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 65-ე, 65[1] (გენოციდი), 65[2] (ეთნიკური წმენდა), 78-ე (ბანდიტიზმი) მუხლებით და 104-ე მუხლის 1, მე-4, მე-6 და მე-10 ნაწილებით (დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ: ანგარებით, ორი და მეტი პირის, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობა) (ძვ. რედაქცია), მიმდინარეობს საქმის განხილვა	ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	იყო ბანდიტური უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრი, ოთარ ტურნანბასთან და ბანდის სხვა წევრებთან ერთად თავს დაესხა გალის რაიონ სოფელ კოხორას, სადაც 1998 წლის 21 მაისს ანგარების მოტივით მოიტაცეს რაულ მიანაევი, გარჩხი მინაევი. ეს უკანასკნელი ა. წაბრიამ და ო. ტურნანბამ ანგარებით, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე, გზაზე სოფელ კოხორას მოძრავ - მექანიზირებული კოლონის ტერიტორიაზე, მოკლეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებიდან.	
10	რუსლან დომენტის ძე ჯოჰუა	1958 წ., გუდაუთის რაიონი, სოფელი ლიხნი	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 65-ე მუხლი, 65[1] (გენოციდი), 65[2] (ეთნიკური წმენდა), 78-ე (ბანდიტიზმი) მუხლებით და 104-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-10 ნაწილებით (დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ: ორი და მეტი პირის, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობა) (ძვ. რედაქცია), მიმდინარეობს საქმის განხილვა	ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	1998 წლის მაისში, რ. ჯოჰუამ რ. მირცხულავასთან, ა. მირცხულავასთან, დმიტრ არშბასთან, ვ. გუნიასთან და სხვებთან ერთად ორგანიზება გაუკეთა და ჩამოაყალიბა 12 კაციანი შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფება, ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მიზნით თავს დაესხნენ გალის რაიონის სოფელ გუდავას, რა დროსაც განსაკუთრებული სისასტიკით და ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე მშობლის ლ. კაზარიანის თანდასწრებით მოკლეს თენგიზ ღვინჯილია, ძმები მამუკა და ნუგზარ ბარქაიები.	
11	როზა ჯოჯოს ასული მირცხულავა	09.02.1954 წ., ოჩამჩირის რაიონი, სოფელი გუდავა	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 65-ე, 65[1] (გენოციდი), 65[2] (ეთნიკური წმენდა), 78-ე (ბანდიტიზმი) მუხლებით და 104-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-10 ნაწილებით (დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ: ორი და მეტი პირის, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის	ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	1998 წლის მაისში, რ. მირცხულავა, რ. ჯოჰუასთან ა. მირცხულავასთან, დმიტრ არშბასთან და სხვებთან ერთად იყო 12 კაციანი შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფების წევრი, ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მიზნით თავს დაესხნენ გალის	

				ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობა) (ძვ. რედაქცია), მიმდინარეობს საქმის განხილვა		რაიონის სოფელ გუდავას, რა დროსაც განსაკუთრებული სისასტიკით და ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე მშობლის ლ.კაზარიანის თანდასწრებით მოკლეს თენგიზ ღვინჯილია, ძმები მამუკა და ნუგზარ ბარქაიები.	
12	დიმიტრ არშბა	1966 წ., ოჩამჩირის რაიონი, სოფელი ჭლოუ	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 65-ე, 65[1] (გენოციდი), 65[2] (ეთნიკური წმენდა), 78-ე (ბანდიტიზმი) მუხლებით და 104-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-10 ნაწილებით (დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ: ორი და მეტი პირის, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობა) (ძვ. რედაქცია), მიმდინარეობს საქმის განხილვა	ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	1998 წლის მაისში, დ. არშბამ, რ. ჯოპუამ რ. მირცხულავასთან, დმიტრ არშბასთან, ა.მირცხულავასთან და სხვებთან ერთად ჩამოაყალიბა 12 კაციანი შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფება, ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მიზნით თავს დაესხნენ გალის რაიონის სოფელ გუდავას, რა დროსაც განსაკუთრებული სისასტიკით და ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე მშობლის ლ.კაზარიანის თანდასწრებით მოკლეს თენგიზ ღვინჯილია, ძმები მამუკა და ნუგზარ ბარქაიები	
13	ვლადიმერ გუნია	1964 წ., ოჩამჩირის რაიონი, სოფელი მერკული	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 65-ე, 65[1] (გენოციდი), 65[2] (ეთნიკური წმენდა), 78-ე (ბანდიტიზმი) მუხლებით და 104-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-10 ნაწილებით (დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ: ორი და მეტი პირის, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობა) (ძვ. რედაქცია), მიმდინარეობს განხილვა	ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	1998 წლის მაისში, ვ. გუნიამ, დ. არშბამ, რ. ჯოპუამ რ. მირცხულავასთან, გ. ტუჟბასთან ა. მირცხულავასთან, დმიტრ არშბასა და სხვებთან ერთად ჩამოაყალიბა 12 კაციანი შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფება, ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მიზნით თავს დაესხნენ გალის რაიონის სოფელ გუდავას, რა დროსაც განსაკუთრებული სისასტიკით და ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე მშობლის ლ. კაზარიანის თანდასწრებით მოკლეს თენგიზ ღვინჯილია, ძმები მამუკა და ნუგზარ ბარქაიები, გადაწვეს კერძო საკუთრება, აღუკვეთეს თავისუფლება მ. უზარაშვილს, ნ. საბუკიას, ი. ხუფუნიას, ლ. ბარქაიას და სხვებს.	
14	ალხაზ მირცხულავა	1960 წ., ოჩამჩირის რაიონი, სოფელი მერკული/ფოქვე	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 65-ე, 65[1] (გენოციდი), 65[2] (ეთნიკური წმენდა), 78-ე (ბანდიტიზმი) მუხლებით და 104-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-10 ნაწილებით (დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ: ორი და მეტი პირის, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობა) (ძვ. რედაქცია), მიმდინარეობს საქმის განხილვა	ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	1998 წლის მაისში, ა. მირცხულავამ, დ. არშბამ, რ. ჯოპუამ რ. მირცხულავასთან, გ. ტუჟბასთან, ა. მირცხულავასთან, დმიტრ არშბასა და სხვებთან ერთად ორგანიზება გაუკეთა და ჩამოაყალიბა 12 კაციანი შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფება, ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მიზნით თავს დაესხნენ გალის რაიონის სოფელ გუდავას, რა დროსაც განსაკუთრებული სისასტიკით და ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე მშობლის ლ. კაზარიანის თანდასწრებით მოკლეს თენგიზ ღვინჯილია, ძმები მამუკა და ნუგზარ ბარქაიები, გადაწვეს კერძო საკუთრება, აღუკვეთეს თავისუფლება მ. უზარაშვილს, ნ. საბუკიას, ი. ხუფუნიას, ლ. ბარქაიას და სხვებს.	

15	გია ტუჟბა	1964 წ., გულრიფშის რაიონი, სოფელი ლათა	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 65-ე, 65[1] (გენოციდი), 65[2] (ეთნიკური წმენდა), 78-ე (ბანდიტიზმი) მუხლებით და 104-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-10 ნაწილებით (დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ: ორი და მეტი პირის, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობა). (მვ. რედაქცია) მიმდინარეობს საქმის განხილვა	ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	1998 წლის მაისში, გ. ტუჟბამ, დ. არშბამ, რ. ჯოჯუამ რ. მირცხულავასთან, ა. მირცხულავასთან, დმიტრ არშბასთან და სხვებთან ერთად ჩამოაყალიბა 12 კაციანი შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფება, ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მიზნით თავს დაესხნენ გალის რაიონის სოფელ გუდავას, რა დროსაც განსაკუთრებული სისასტიკით და ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე მშობლის ლ. კაზარიანის თანდასწრებით მოკლეს თენგიზ ღვინჯილია, ძმები მამუკა და ნუგზარ ბარქაიები.	
16	გენრიხ გენრიხის ძე ჭანბა	1967 წ. გაგრა	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 65-ე, 65[1] (გენოციდი), 65[2] (ეთნიკური წმენდა), 78-ე (ბანდიტიზმი), 238-ე მუხლის 1, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით (იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა) და 104-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-10 ნაწილებით (ორი და მეტი პირის, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობა). (მვ. რედაქცია), მიმდინარეობს განხილვა	ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფების წევრმა 1998 წლის 6 ივლისს გალის რაიონის სოფელ მზიურში ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე გენრიხ ჭანბამ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩაიდინა ნუგზარ დავითაძის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში.	
17	ვლადიმერ გრიგოლის ძე ანუა	1958 წ., ოჩამჩირის რაიონი, სოფელი კინდღი	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 65-ე, 65[1] (გენოციდი), 65[2] (ეთნიკური წმენდა), 78-ე (ბანდიტიზმი) მუხლებით და 104-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-10 ნაწილებით (დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ: ორი და მეტი პირის, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობა). (მვ. რედაქცია), მიმდინარეობს განხილვა	ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	ვ. ანუამ ორგანიზება გაუკეთა და ჩამოაყალიბა უკანონოდ შეიარაღებული სხვადასხვა ეროვნების „ბოევიკებისაგან" შემდგარი 70 კაციანი ბანდიტური დაჯგუფება და 1998 წლის 20 მაისს, თავს დაესხნენ გალის რაიონის სოფელ რეფი-ხუმუშკურს, რა დროსაც დამამძიმებელ გარემოებებში, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ორგანიზება გაუკეთა და მიიღო მონაწილეობა ამავე სოფლის მცხოვრებლების დონარი ფარეიშვილის, რუდინი ფარეიშვილის და რაულ გოგოგხიას განზრახ მკვლელობებში. ორგანიზება გაუწია კახი ქაავას, გიორგი ქაავას, ემირი აფშილავას, თემური ანთიას, გოჩა არახამიას და ზვიად გედელიას გატაცებას. მან და მისმა ბანდის წევრებმა გაანადგურეს ქართველების კერძო საკუთრება	
18	ზაურ ცეცხლაძე იგივე მიხეილ თარბა	1965 წ., მცხ. ქ. სოხუმი	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 65-ე, 65[1] (გენოციდი), 65[2] (ეთნიკური წმენდა), 78-ე (ბანდიტიზმი) მუხლებით და 104-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-10-ე ნაწილებით (ანგარებით, ორი და მეტი პირის, განსაკუთრებული სისასტიკით, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი	ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	ზაურ თარბა-ცეცხლაძემ, პირადად ჩამოაყალიბა უკანონოდ შიარაღებული ბანდიტური დაჯგუფება, 1998 წლის 5 ივნისს სოფელ ჭუბურხინჯში უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება მირიანე ქორთუას, ბოჩია ქორთუას, ზაური უბილავას, ოთარ წულაია, ღუდა განგავას, სერგო ყოლბაიას, თორნიკე	

				განზრახ მკვლელობა) და 17-104-ე მუხლის მე-4 და მე-10 ნაწილებით). (ძვ. რედაქცია), მიმდინარეობს განხილვა		ნანავას, აიძულა შესულიყვნენ მდ. ენგურში, რის შემდგომ გაუხსნა ცეცხლი, შედეგად გარდაიცვალნენ ზაურ უბილავა და ლუდა განგავა, ოთარ წულაია, ხოლო სხეულის სხვადასხვა დაზიანებები მიიღეს მამა-შვილმა ქორთუებმა. მანვე და მისმა დაჯგუფებამ გაანადგურეს ქართველების კერძო საკუთრება	
19	გენადი ბაგრატის ძე აშხაცავა	1973 წ	ბრალდებული ძებნილი	133[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით, 236-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილით, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით, 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით (მძევლად ხელში ჩაგდება) და 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), მიმდინარეობს საქმის განხილვა	სოფელი განმუხური და შამგონა, ზუგდიდის რაიონი, ასევე ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი	ე.წ. „გაგრის ჯგუფის“ აქტიური წევრი გენადი აშხაცავამ თანამზრახველებთან რომა დბართან, გელა ვანაჩასთან, რუსლან ცვეიბასთან, ადგურ ხალვაშთან, გურამ კაკუბავასთან და დიმა გოგოხიასთან ერთად, 1999 წლის 13 დეკემბერს, ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურიდან მძევლად აიყვანეს გელა და გოჩა ზარანდიები, მამუკა ლელაძე და გადაიყვანეს ქ.გალში, აფხაზი ეროვნების მოქალაქეებზე გაცვლის მიზნით. მათვე, 2000 წლის 19 იანვარს, ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონადან გალში გაიტაცეს ცოლ–ქმარი დიდიკო ქარდავა და სვეტლანა კოკაილო. 2001 წლის 26 ოქტომბერს გალის რაიონის სოფელ ოტობაიადან გაიტაცეს ოჩამჩირეში 2 ავტომანქანა და 5 პირი, რომლებიც გაათავისუფლეს გამოსასყიდის გადახდის შემდგომ. მათვე, 2004 წლის 27 იანვარს ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში დაიკავეს არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით ბაძაღუა და წევრი თემურ ქორთუა, ქორთუა ადგილზე ცემეს და ბაძაღუა გაიტაცეს. 25 მარტს გაათავისუფლეს საქართველოს ხელისუფლების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობით.	ორ ეპიზოდში თავდასხმა მოხდა ზუგდიდის რ-ში და გადაიყვანეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მესამე ეპიზოდში ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიწყო და დასრულდა
20	გელა ალეკოს ძე ვანაჩა	1968 წ	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 133[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით, 236-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილით, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ქვეპუნქტით და 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) მიმდინარეობს საქმის განხილვა	სოფელი ორსანტია, ზუგდიდის რაიონი, ასევე ოკუპირებული აფხაზეთი, გალის რაიონი		ერთ ეპიზოდში თავდასხმა მოხდა ზუგდიდის რაიონში და გადაიყვანეს გალის რაიონში, დანარჩენი ეპიზოდები აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაიწყო და დასრულდა
21	ოთარ ფალავანძია	1959 წ. ოჩამჩირის რაიონის სოფელი კვიტოული	ძებნილი ინტერპოლით 30.04.2000 წლიდან	სსკ-ის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილით. (საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 29 ივნისის დეკრეტის რედაქციით, ხელისუფლების წარმომადგენლის განზრახ მკვლელობა, მის სახელმწიფო მოღვაწეობასთან დაკავშირებით)	ოკუპირებული აფხაზეთი, სოხუმი	ოთარ ფალავანძია და ოლეგ პაპასკირი იყვნენ უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრები. 1993 წლის 27 სექტემბერს ოთარ ფალავანძიამ და ოლეგ პაპასკირმა ტყვედ აყვანილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა (თავდაცვის) საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს.	
22	ოლეგ პაპასკირი	1966 წ. სოხუმი	ძებნილი ინტერპოლით 01.04.2000 წლიდან	67-ე მუხლის მე-4 ნაწილით. (საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 29 ივნისის დეკრეტის რედაქციით, ხელისუფლების წარმომადგენლის განზრახ მკვლელობა, მის სახელმწიფო მოღვაწეობასთან დაკავშირებით)	ოკუპირებული აფხაზეთი, სოხუმი		
23	აფრიკან ბგანბა	1976 წელი	ძებნილი ინტერპოლით	სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10	ოკუპირებული აფხაზეთი, გაგრა	2001 წლის ზაფხულში, გაგრაში (აფხაზეთი, საქართველო) ლევან მამასახლისის	

			23.11.2006 წლიდან	მარტის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ს 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „თ" ქვეპუნქტებითა და 126 მუხლის მე-2 ნაწილის „დ" და „ზ" ქ/ პ მიესაჯა 14 წლით თ/ა		თავისუფლების უკანონო აღკვეთა და მის მიმართ ძალადობა	
24	ვახტანგ უბირია	1956 წელი	ძებნილი ინტერპოლით 23.11.2006 წლიდან	სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 მარტის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ს 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „თ" ქვეპუნქტებითა და 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" და „ზ" ქ/ პ (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) და მიესაჯა 14 წლით თ/ა	ოკუპირებული აფხაზეთი, გაგრა		სავარაუდოდ დე-ფაქტო უშიშროების სამინისტროს თანამშრომელია
25	ვლადიმერ ემინის ძე ნაჩაჩ-ოღლი	1955 წელი	ძებნილი ინტერპოლით 23.11.2006 წლიდან	სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 მარტის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ს 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „თ" ქვეპუნქტებით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) და მიესაჯა 8 წლით თ/ა	ოკუპირებული აფხაზეთი, გაგრა		სავარაუდოდ დე-ფაქტო გენ. პროკურორის მოადგილე და სამხედრო პროკურორია
26	შურიკ (ალექსანდრე) კოკოსკერია	1955 წ., გაგრის რაიონი, სოფელი გზიფი	ბრალდებული ძებნილი	სსკ-ის 65-ე, 65[1] (გენოციდი), 65[2] (ეთნიკური წმენდა), 78-ე (ბანდიტიზმი) მუხლებით 238-ე მუხლის 1, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა) და 104-ე მუხლის მე-10 ნაწილებით (დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ: ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობა). (ძვ. რედაქცია), მიმდინარეობს საქმის განხილვა	ოკუპირებული აფხაზეთი, გაგრის რაიონი	1996 წლის 24 თებერვალს გაგრის რაიონ სოფელ ალახაძეში, ეროვნული შეუწყნარებლობის ნიადაგზე დანით მიაყენა ჭრილობები გულ-მკერდის არეში თამარა შელიას, რომელიც გარდაიცვალა. 1998 წლის 20 მაისს და შემდგომ პერიოდში ქ. გალში და გალის რაიონში მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდისას, რაც განხორციელებულ იქნა აფხაზი სეპარატისტების და მათი დაქირავებული ბანდების მიერ, იგი ხელმძღვანელობდა ე.წ. აფხაზური მილიციის ოცეულს, რომელიც ტერიტორიულად განლაგებული იყო გალის რაიონ სოფელ ჭუბურხინჯში.	
27	ლევ სარდინოის ძე ბიჩენოვი	09.07.1967 ცხინვალის მკვიდრი	ბრალდებული ძებნილი	წარედგინა ბრალდება: ადამიანის მოტაცება ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონოდ აღკვეთა, პოლიციელის სიცოცხლის ხელყოფა, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ასაფეთქებელი მოწყობილობის სათანადო ნებართვის გარეშე შეძენა ან ტარება. მიმდინარეობს განხილვა	სოფელი აძვი, გორის რაიონი, სოფელი აძვისთავი, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი	1199820 საქმე - 1999 წლის 05 იანვარს, ლევ ბიჩენოვმა, უჩა გოიაევმა და ასლან გაზაევმა სოფელ აძვიდან 15 წლის ელზა ბალამწარაშვილის მოტაცებისას სხეულის დაზიანება მიაყენეს მამას ვლადიმერ ბალამწარაშვილს. მოტაცებული გადაიყვანეს სოფელ აძვისთავში. ელზა ბალამწარაშვილის გათავისუფლებისას ლევ ბიჩენოვმა პოლიციელს ვ. ჩალაურს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.	გაზაევმა და გოიაევმა მოიხადეს სასჯელი
28	გია თუაევი	უცნობია მცხ. გორის რაიონის	ბრალდებული ძებნილი	არსებითად განსახილველად გადაგზავნილია გორის რაიონულ სასამართლოში - ადამიანის მოტაცება ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონოდ აღკვეთა	სოფელი არგვიცი (შემთხვევის დროს არ იყო ოკუპირებული), სოფელი ფრისი,	1192808 საქმე - 24.01.1992 წელს თავს დაესხნენ არგვიცში მცხოვრებ ბაგრატ მარიამიძეს, გაიტაცეს იგი და წაიყვანეს სოფელ ფრისში, სადაც დაკავებული ყავდათ ერთი დღის განმავლობაში, რა დროსაც	

		სოფ. ფრისში.			ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი	მიაყენეს მას ფიზიკური შეურაცხყოფა და მის ახლობლებს მოსთხოვეს მისი გამოსასყიდი 300 000 მანეთი.	
29	ფისო ივანეს ძე ვაზაგოვი	უცნობია მცხ. გორის რაიონის სოფ. ფრისში.	ბრალდებული ძებნილი	არსებითად განსახილველად გადაგზავნილია გორის რაიონულ სასამართლოში - ადამიანის მოტაცება ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონოდ აღკვეთა			
30	თამაზ ოთარის ძე ბესტაევი	1979 წელი მცხ. ზნაურის რაიონის სოფ. ჭოლობაურში	მსჯავრდებული ძებნილი	23.07.2008 წ. გორის რაიონული სასამართლოს განაჩენით მიესაჯა: სსკ-ის 236-1 – 1ნ და 6 თვე, 236-2 -3 წ. და 6 თვე, 19,108- 11 წელი. დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა 16 წლით თ/აღკვეთა	სოფელი მუგუთი, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი	82060150 საქმე - 2006 წლის 23 ივლისს, სოფელ მუგუთთან თამაზ ბესტაევმა, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით ესროლა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან. სროლის შედეგად ჯ. დურგლიშვილმა მიიღო დაზიანება ზურგის არეში.	სოფელი მუგუთი ოკუპირებული იყო შემთხვევის დროსაც
31	რამჩიკ ედიკას ძე ფუხაევი	15.07.1984 მცხ. ზნაურის რაიონის სოფ. ნუგრისი.	მსჯავრდებული ძებნილი	გასამართლებული იქნა ხაშურის რაიონული სასამართლოს მიერ სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა", „გ" და „ე" ქვეპუნქტებით, მიესაჯა თ/აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით. 2013 წლის 6 თებერვალს, რამჩიკ ფუხაევს ამნისტიის საფუძველზე სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და საბოლოოდ მოსახდელად დაუდგინდა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის, 4 თვისა და 15 დღის ვადით.	სოფელი ატოცი, ქარელის რაიონი	027080098 საქმე - 2008 წლის 26 მარტს, რამჩიკ ფუხაევმა ატოცში უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება მოქალაქეებს: სპარტაკ მიჩელს და ვლადიმერ გიორგაძეს, რომლებიც გადაიყვანეს ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და საგუშაგოზე ჰყავდათ დაახლოებით 3 საათის განმავლობაში.	ატოცი არ არის ოკუპირებული, თუმცა თავისუფლებააღკვეთილი პირები გადაიყვანეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე
32	არკადი ოთარის ძე ძერანოვი	1950 წელი	მსჯავრდებული ძებნილი	2007 წლის 21 ივნისს წარედგინა ბრალდება დანაშაულისათვის გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა", „გ" და „ე" ქვეპუნქტებით, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით. გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით	ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი (ახალგორი - ცხინვალი)	081072026 საქმე - 2007 წლის 2 ივნისს სოფ. წნელიდან გაიტაცეს როსტომ ნოზაძე და ვასილ გელაშვილი, რომელთა გათავისუფლების სანაცვლოდ ითხოვდნენ 5000 ლარის გადაცემას.	
33	ზურაბ თენგიზის ძე დუდაევი	04.03.1970 წელი	ბრალდებული ძებნილი	105; 133'-2 (განზრახ მკვლელობა, ადამიანის მოტაცება ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონოდ აღკვეთა) არსებითად განსახილველად გადაგზავნილია გორის რაიონულ სასამართლოში.	ერედვი-ვანათის მაგისტრალი	1191896 საქმე - 1991 წლის 22 ნოემბერს, სოფელ დმენისთან გამავალი ერედვი–ვანათის სამანქანო მაგისტრალზე ზურაბ დუდაევმა და მასთან მყოფმა პირებმა მძევლად ხელში ჩაიგდეს მერაბ და გიორგი ჯინიყაშვილები, გურამ ვალიევი, დინორი ხადური, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის გამო, დუდაევმა მოკლა ხადური. მძევლები გადაიყვანეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სოფ. დმენისში	ერედვი-ვანათის მაგისტრალის ის მონაკვეთი, საიდანაც მოხდა გატაცება. შემთხვევის დროს არ იყო ოკუპირებული; თუმცა თავისუფლებააღკვეთილი პირები გადაიყვანეს

							იმყამად ოკუპირებულ ტერიტორიაზე.